



ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში – დიდი არაქალი, პატარა არაქალი, ჟდანოვაკანი, ფოკა, ჯიგრაშენი წყალსადენი სისტემის სამშენებლო–სარეაბილიტაციო სამუშაოები

45200000 - მილიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

სატენდერო დოკუმენტაცია

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 121 მუხლის, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

ქ. ნინოწმინდა
2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად. (იხ.<http://procurement.gov.ge/>)

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2.2. პრეტენდენტებმა სისტემის მეშვეობით უნდა წარმოადგინონ:

ა) რეკვიზიტები. (დანართი #1).

ბ) ხარჯთაღრიცხვა (დანართი #2).

გ) სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი შევსებული (დანართი #3)

2.3. იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი პრეტენდენტისაგან მოითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, რომლის ხარჯებსაც გაიღებს პრეტენდენტი.

2.4. სატენდერო წინადადების ფასი სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იქნას დღგ-ს გარეშე (იმის მიუხედავად არის თუ არა პრეტენდენტი დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული). თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადებისას იქნება რეგისტრირებული დღგ-ს გადამხდელად შესაბამისი ცნობის წარმოდგენის შემდეგ დღგ-ს ოდენობა გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების ღირებულებაში.

3. ტექნიკური დავალება

3.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში –დიდი არაქალი, პატარა არაქალი, ჟდანოვკანი, ფოკა, ჯიგრაშენი წყალსადენი სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

3.2. შესასრულებელი სამუშაოები:

დიდი არაქალი – პროექტის მიზანია სასმელი წყლის დამატება. პროექტი ითვალისწინებს რკინაბეტონური დამბის მშენებლობას 25 მ საერთო სიგრძით 1,5 მ სიმაღლით და 50 სმ სისქით წყაროების წყლების შეგროვების მიზნით და წყალსადენ სისტემაზე შეერთებით მდინარის ფარავნის მეორე ნაპირზე ფოლადი 90 მმ დიამეტრის მილებით 22 მ და იგივე პლასტიკური მილებით 240 მ სიგრძის. აპტაჟის გადახურვის გიროიზოლაცია ბიკროზოლით, მეტალიკური თავსახურის მოწყობა ჭისათვის და რეზერვუარის ზედაპირზე მსუბუქი გრუნტით ამოვსება.

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	გრუნტის გათხრა ექსკავატორით ტრანშე-კოტლოვანში სველ გრტუნტში მეოთხე კატეგორიის	კუბ/მ	205
2	მონოლიტური რკინაბეტონური კაპტაჟის მოწყობა სისქით 50 სმ სიგრძით 25 მ და სიმაღლით 1.5 მ	კუბ/მ	18.8
3	არმატურა A III d=12 მმ	გრმ.მ	400
4	ოპალუპკის მოწყობა ხემასალით	კუბ/მ	2.8
5	რკინაბეტონური ჭის მოწყობა 1.3*1.4 ზომებით 1.2 მ სიმაღლით კედლის	კუბ/მ	0.48

	სისქით 10 სმ		
6	თუჯის ურდულის მოწყობა d=150 მმ, l=2 მ მილში	ცალი	1
7	მეტალიკური მილის მოწყობა d=150 მმ, 2 ცალი უკუდინებისათვის	გრძ.მ	4
8	კედლების შელესვა ცემენტო-ქვიშიანი ხსნარით, თხევადი მინის დამატებით ორივე მხრიდან (40*1.5)*2	კვ/მ	60
9	გრუნტის დამუშავება კედლებთან ხელით	კუბ/მ	20
10	თიხით ამოვსება თიხიანი ჩამკეტის მოწყობა კედლებთან შიდა მხრიდან	კუბ/მ	80
11	ქვის დრენაჟის მოწყობა	კუბ/მ	45
12	პემზით ამოვსება და ქვის დრენაჟის გასწორება	კუბ/მ	10
13	რკინაბეტონური გადახურვის მოწყობა 10 სმ სისქით 25*3.3*0.1 ზომებით	კუბ/მ	8.2
14	არმატურა A III d=6 მმ	გრძ.მ	900
15	კაპტაჟის გადახურვის გიგროიზოლაცია ბიკროზოლით	კვ/მ	60
16	მეტალიკური თავსახურის მოწყობა ჭისათვის 0.6*0.7	კვ/მ	0.42
17	წყალსადენის მოწყობა პლასმასის წყალსადენი მილებით d=90 მმ, 10 ატმ.	გრძ.მ	240
18	წყალსადენის მოწყობა მეტალიკური მილებით d=90 მმ, მდინარეზე გადასაკვეთად	გრძ.მ	22
19	ადაპტორების მონტაჟი 4 ცალი	ცალი	4
20	რეზერვუარის ზედაპირზე მსუბუქი გრუნტით ამოვსება	კუბ/მ	33

პატარა არაქალი – პროექტით გათვალისწინებულია სოფლის არსებული წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია. ძველი ფოლადი წყალსადენი მილები დაჟანგდნენ და ატარებენ წყალს. წყალსადენი წსელის აღდგენის მიიზნით პროექტით გათვალისწინებულია ფოლადი მილების შეცვლა პლასმასის მილებით სხვადასხვა დიამეტრით d=25მმ, 40მმ,50 მმ,და65 მმ, ყველა მიწის სამუშაოებიუთა და არსებული წყალსადენში გადაჭრით სოფლის სხვადასხვა უბნებში წარმოდგენილი გეგმის თანახმად.

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	მეხუთეკატეგორიისგრუნტისგათხრაექსკავატორით 120 სმსიღრმითდა 60 სმსიგანით	კუბ/მ	593
2	იგივეხელით	კუბ/მ	105
3	წყალსადენისისტემისმოწყობაპლასმასისმილებითd=90 მმ, 6 ატმ.	გრძ.მ	350
4	იგივეd=63 მმ	გრძ.მ	70
5	იგივეd=50 მმ	გრძ.მ	250
6	იგივეd=40 მმ	გრძ.მ	450

7	იგივედ 25 მმ	გრძ.მ	70
8	ადაპტორების მონტაჟი შერეობისათვის	ცალი	16
9	ფხვნიერი მიწის მიყრამილსადენის ქვეშ 20 სმ	გრძ.მ	1190
10	გრუნტის უკუმიყრამილდოზებით	კუბ/მ	490.37

ქდანოვაკანი – პროექტის მიზანია სასმელი წყლის რეზერვუარის კაპიტალური რეაბილიტაცია. აღნიშნული რეზერვუარი აშენებულია 1860-იან წლებში, რომლის კედლები დანგრეულია, ამიტომ პროექტში გათვალისწინებულია რკინაბეტონის B-25 F=200 მონილითური ფუნდამენტებისა და კედლების მოწყობა 20 სმ კედლის სისქით, არმატურით A-III, d-12მმ, d-100მმ ურდულის მოწყობა სათავე ნაგებობის ჭაში 5 სმ სისქის მათანაბრებელი ფენის მოწყობა ცემენტის ხსნარით და ზედაპირის გიდროიზოლაცია ბიტუმის მასტიკით ორ წრედ. ბეტონი აუცილებელია ვიბრატორით დამუშავება.

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	გრუნტის დამუშავება ხელით	კუბ/მ	125
2	რკინაბეტონის B-25 F=200x6 მონილითური ფუნდამენტებისა და კედლების მოწყობა 20 სმ კედლის სისქით	კუბ/მ	29,4
3	არმატურა A-III, d-12	ტ	1,7
4	საყალიბე ფიცარი	კუბ/მ	5,2
5	რეზერვუარის კედლების შელესვა ქვიშა-ცემენტის ხსნარით (თხევადი მინის დამატებით) საჭირო ადგილებზე	კვ/მ	7,2
6	d-100მმ ურდულის მოწყობა სათავე ნაგებობის ჭაში	კომპ	2
7	უკუმიყრილი გრუნტის ამოვსება ბულდოზერით	კუბ/მ	125
8	მათანაბრებელი ფენის მოწყობა ცემენტის ხსნარით (სისქით 5სმ)	კვ/მ	90
9	ბიტუმის მასტიკით ორ წრედ ზედაპირის გიდროიზოლაცია	კვ/მ	90

ფოკა – პროექტის მიზანია არსებული ძველი ფოლადი წყალსადენი სისტემის რეაბილიტაცია სოფელ ფოკის ტერიტორიაზე. პროექტით გათვალისწინებულია წყალსადენი სისტემის მოწყობა d=50 მმ –იანი პლასმასის მილებით ინდივიდუალურ მომხმარებლებთან 12 ადგილას.

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	გრუნტის გათხრა ექსკავატორით ტრანშეებში 1.2 მ სიღრმით	კუბ/მ	600
2	გრუნტის ხელით დამუსავება	კუბ/მ	12
3	პლასმასის წყალსადენი მილების მონტაჟი d=50 მმ	გრძ.მ	1100
4	პლასმასის მილების ქვეშ მსუბუქი გრუნტით ბალიშის გაკეთება 20 სმ სისქით	კუბ/მ	100

5	გრუნტის უკან მიყრა ბულდოზერით	გრძ.მ	1000
6	არსებული წყალსადენში გადაჭრა	ცალი	2
7	ხამუტსა და ჩამკვეთების მონტაჟი აბონენტების შესაერთებლად	ცალი	12

ჯიგრაშენი – პროექტით გათვალისწინებულია III კატეგორიის გრუნტის მოთხრა ექსკავატორით 100 სმ სიღრმით და 60 სმ სიგანით –738,6 კუბ/მ და ხელით 15 კუბ/მ. მეხუთე კატეგორიის გრუნტის გათხრა ხელით პნევმატიური ჩაქუჩით მაგისტრალური წყალსადენის მოსაწყობად (სიგანე 0.4-0.8მ, სიღრმე 0.8 მ და წყალმომარაგების მაგისტრალის მოწყობა პლასტის მილებით $d=50$ მმ, 6 ატმ. $d=40$ მმ, $d=32$ მმ. მილსადენის ქვეშ გათვალისწინებულია ფხვნიერი მიწის მიყრა 10 სმ და მილსადენის ზედ 20 სმ სისქით ხელით. პროექტი ითვალისწინებს ასევე რკინაბეტონური ჭის ($d=800$ მმ, $\Phi=1000$ მმ) და ფოლადი ლიუკის ($1.35*1.35*0.10$) მონტაჟი $0.65*0.65$ მმ სახურავის ზომით და გზის სავალ ნაწილზე რკინის მილის განთავსება (ჩეხლით) $d=57$ მმ 3.5 მ სისქით .

№	სამუშაოს დასახელება	ზომის ერთეული	რაოდენობა
1	სახურავის მოთუთიებული გადახურვის და შლამემდგომი გამოყენებისათვის	კვ/მ	88
2	შენობის გადახურვის მოწყობის მოთუთიებული ტალღისებური ფოლადი ფირფიტები თვადიდების მიზნით	კვ/მ	22
3	შავი იატაკის გაკეთება 0.02 სმ სისქის ფიცრებით	კუბ/მ	1.22
4	ჭერის გათხრება ფოლადის მიწვერებით 5 სმ სისქის $S=16.8$ რულონით	კვ/მ	69
5	ელექტროსადენის გაყვანა $2*2.5$ კვ/მმ კვეთით	გრძ.მ	50
6	ამომრთველების მოწყობა	ც	1
7	სოკეტების მოწყობა	ც	4
8	სანათების მოწყობა	ც	10
9	გადასაყოფიყუთების მოწყობა	ც	3
10	კედლების ამოყვანა ბლოკისაგან $0.2*0.2*0.4$	კვ/მ	71.2
11	ჭერის გაკეთება პლასტიკატით	კვ/მ	60
12	ცემენტის ტიასტის გაკეთება მეტლახიანი	კვ/მ	60

** ნებისმიერი საკითხის წარმოქმნის შემთხვევაში აუცილებელია შეთანხმება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის სივრცით მოწყობის მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის სპეციალისტებთან.*

3.3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: **69800** (სამოცდაცხრა ათას რვაასი) ლარი დღგ-ს გარეშე.

სოფ. დიდი არაქალი – **17825.2** ლარი.

სოფ. პატარა არაქალი – **13191.39** ლარი;

სოფ. ჟდანოვაკანი – **14532.94** ლარი;

სოფ. ფოკა – **9700.28** ლარი.

სოფ. ჯიგრაშენი – **14550.4** ლარი.

3.4. დაფინანსების წყარო: **სახელმწიფო ბიუჯეტი** – სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ - საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულება;

3.5. მოწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 კვირა.**

3.6. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა: **ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 წელი.**

3.7. მოწოდების ადგილი: **ნინოწმინდა – სოფ. დიდი არაქალი, პატარა არაქალი, ჟდანოვაკანი, ფოკა, ჯიგრაშენი;**

3.8. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან: სატენდერო კომისიის აპარატის წევრი – ეკატერინე ოქრომელიძე, ტელ: 599-89-00-35, ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით დაუკავშირდით: რუბენ ლაზარიანი ტელ: 595-900-478. ელ. ფოსტა: gninotsminda@gmail.com. მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ.43

4. ანგარიშსწორების პირობები:

- 4.1. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით, ასევე სატენდერო წინადადების ღირებულებაში გათვალისწინებული უნდა იყოს ტრანსპორტირება, დაზღვევა და ა.შ. ხარჯები, რომლებიც არ იქნება გათვალისწინებული სატენდერო წინადადებაში, შემსყიდველის მიერ არ ანაზრაურდება.
- 4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.
- 4.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.
- 4.4. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება- ჩაბარების აქტის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტის (ფორმა No2 - ს) და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
- 4.5. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს: წარმომადგენლის გამოყოფას, რომელიც უშუალოდ გაუწევს ზედამხედველობას სამუშაოების შესრულების პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, მოახდენს სამუშაოების შესრულების პროცესზე რეაგირებას.

5. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი ხელშეკრულება

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება და დაიხვეწება ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

ქ. ნინოწმინდა

2016 წლის _____

ერთის მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) გამგებლის, გაგიკ კარსლიანის სახით და მეორეს მხრივ, _____ (შემდგომში მომწოდებელი), მისი დირექტორის _____ სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1 “ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” (შემდგომში – “ხელშეკრულება”) – შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.2 “ხელშეკრულების ღირებულება” – ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
- 1.3 “შემსყიდველი ორგანიზაცია” (შემდგომში “შემსყიდველი”) – ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4 “მიმწოდებელი” – ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5 “დღე”, “კვირა”, “თვე” ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
- 1.6 „სამუშაო” – ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგანი.
- 1.7. „ტექნიკური დავალება” – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
- 1.8. „ტექნიკური დოკუმენტაცია” – მომწოდებლის მიერ ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის (შემდგომში – მუნიციპალიტეტი) მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის შესყიდვის საგანს წარმოადგენს: ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფლებში – დიდი არაქალი, პატარა არაქალი, ჟდანოვკანი, ფოკა, ჯიგრაშენი წყალსადენი სისტემის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა.

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომლებიც ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ————— ლარს. მომწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

3.2. წინმდებარე ხელშეკრულების ფასის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სტანდარტები

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესასყიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს ჯეროვნად საპროექტო დოკუმენტაციის, მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, მსგავსი სამუშაოებისათვის უკვე არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნების შესაბამისად. წესებიდან და ნორმებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულების გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნასთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული სამუშაოს და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.4. ინსპექტირებას განახორციელებს სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული ფიზიკურად შესრულებული სამუშაოს, მომსახურების და საქონლის შესყიდვის ინსპექტირების სამუშაო ჯგუფი – რომელიც შექმნილია გამგებლის ბრძანების საფუძველზე.

6. შესასრულებელი სამუშაოების გაწევის პირობები

6.1 შესასრულებელი სამუშაოების დეტალური აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

6.2. სამუშაოს შესრულება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან **16 კვირაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით (დანართი #3)**

6.3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

6.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება მოხდება ეტაპობრივად.

7.2. შესყიდვის ობიექტის ეტაპების მიღება-ჩაბარება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მეშვეობით შესრულებული სამუშაოს აქტი ფორმა-2-სა და ფიზიკურად დამთავრებული სამუშაოების მიღების აქტის გაფორმებით.

7.3. შესყიდვის ობიექტზე შესასრულებელი სამუშაოების დასრულებამდე საორიენტაციოდ ერთი კვირით ადრე ინსპექტირების ჯგუფი ახდენს ობიექტისა და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას, გამოვლენილი ხარვეზების დაფიქსირებას და ადგენს ვადას მიმწოდებლის მიერ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაზეც ფორმდება შესაბამისი აქტი.

7.4. შესყიდვის ობიექტის ბოლო ეტაპის მიღება-ჩაბარების გაფორმებისთანავე თუ ობიექტზე არ არის შენიშვნები ფორმდება ობიექტის დამთავრების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ობიექტის დამთავრების საბოლოო აქტი ფორმდება შენიშვნების აღმოფხვრის შემდეგ.

7.6 შესყიდვის ობიექტზე შესრულებული სამუშაოების დასრულებით და ხარვეზების აღმოსაფხვრელად საჭირო ვადის გასვლის შემდეგ სახელმწიფო შესყიდვების კონტროლის მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების შემადგენლობით, ობიექტის დამთავრების საბოლოო აქტის გაფორმებით ახდენს შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარებას.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სტანდარტებისა და ნორმატივების შესაბამისად და დააკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს.

8.2. შესყიდვის ობიექტის საგარანტიო ვადა ექსპლუატაციაში მიღებიდან **-3 წელი**, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისთვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზრაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან.

9. ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

გ) სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესასრულებელ სამუშაოებთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დ) მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს და დადასტურებული მოცულობების მიხედვით, მიღება- ჩაბარების აქტის, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების მიღების აქტის (ფორმა No2 - ს) და შესაბამისი საგადახდო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9.4. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება სამუშაოების დასრულების აქტისა და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რაც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური რირებულების 10%-ს.

10.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

12. სუბკონტრაქტორები

12.1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული სატენდერო წინადადებაში.

12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისგან.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

14.2. თუ მიმწოდებელი:

ა) არ დაიწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

გ) სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება; ასევე დააკისროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

14.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

14.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული **0,02 %-ის** ოდენობით.

14.5. მიმწოდებლის მიერ ტექნიკურ დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების გეგმა- გრაფიკის უხეში დარღვევის შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების მიმდინარეობა ხელშეკრულებას თანდართული სამუშაოების შესრულების გრაფიკს ჩამორჩება 30%-ის ოდენობით, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად წერილობითი შეტყობინების საფუძველზე შეწყვიტოს ხელშეკრულება

14.6. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების **ღირებულების 5 %-ს**, ან/და მიმწოდებლის მიერ **7 სამუშაო დღის განმავლობაში** გაგრძელდება გეგმა- გრაფიკის დარღვევა, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

14.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო **ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5 % ოდენობით**.

14.7. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

15.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16. ფორს-მაჟორი

16.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის “ფორს-მაჟორი” ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოიწვიოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

17. სადაო საკითხების გადაწყვეტა

17.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოავარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

17.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

18. გამოყენებული სამართალი

18.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

19. ხელშეკრულების ენა

19.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

20. გადასახადები და დაბეგრა

20.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელის გადახდაზე.

21. შეტყობინება

21.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

21.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან, რომელი უფრო გვიან დგება.

22. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

22.1. მომწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ სამუშაოები შესრულებული იქნება ხარისხიანად, საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და და სტანდარტების შესაბამისად და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნას.

23. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა და ადგილი

23.1. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 16 კვირა.**

23.2. შესყიდვის ობიექტის მოწოდების ადგილია – **ნინოწმინდა – სოფ. დიდი არაქალი, პატარა არაქალი, ჟდანოვაკანი, ფოკა, ჯიგრაშენი.**

24. სხვა პირობები

24.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სხვა საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

24.2. მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება ქართულ ენაზე.

24.3. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიულ ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

24.4. ხელშეკრულება ძალაშია _____.

25. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მომწოდებელი:

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ 43
ს/ს „ლიბერთი ბანკის“ ნინოწმინდის ფილიალი
ბანკის კოდი LBRTGE22
ა/ნ GE51LB0120146252122000
ს/კოდი 236689669

გ. კარსლიან

რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ბეჭედი _____

